

კასპის მუნიციპალიტეტში სანელებლების სანარმო „იგოეთი“ ფუნქციონირებს

09 ნოემბერი 2022

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული მიხეილ შაყულაშვილი და კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ იგოეთში ახლადგახსნილი სანელებლების სანარმოს - „იგოეთი“ სამუშაო პროცესს გაეცნენ. კომპანია 2020 წელს დაარსდა და 18 სახეობის სუნელს აწარმოებს. თანამედროვე ტიპის შენობა სრულად აკმაყოფილებს სტანდარტებს და პასუხობს ყველა შესაბამის მოთხოვნას. სანარმოს დირექტორის ზურაბ გოგინაშვილის თქმით, ადგილზე დასაქმებულები არიან ადგილობრივი კადრები, ასევე, სამომავლოდ იგეგმება დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა.

„ყოველი ახალი სანარმოს გახსნა სახელმწიფოსთვის ნიშნავს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას და ეკონომიკურ სარგებელს. გარდა ამისა, იქმნება ქართული პროდუქცია და მატერიალური დოვლათი. იგოეთში ახლადგახსნილი სანელებლების სანარმო და მასში ჩადებული ინვესტიცია ამ ყველაფრის კარგი მაგალითია. შედეგად დასაქმდა ათეულობით ადამიანი. ზოგადად, კერძო და საჯარო სექტორის ურთიერთთანამშრომლობა ქვეყნის ინტერესებს ემსახურება და მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბიზნესის განვითარებისათვის.“ - აღნიშნა მხარის რწმუნებულმა.